

ქართული თხილის ბაზარი: შეფასება, პერსპექტივები

მარინა ჩავლეიშვილი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
marina.chavleishvili@tsu.ge

სტატიაში განხილულია საქართველოში თხილის წარმოების შესაძლებლობები, ქართული თხილის ბაზრის განვითარების ტენდენციები, შეფასებულია თხილის მსოფლიო ბაზარი, არსებული მდგომარეობა და მასში საქართველოს ადგილი, გაანალიზებულია თხილის საექსპორტო პოტენციალი, სამომავლო პერსპექტივები საერთაშორისო ბაზარზე.

საქართველოში თხილის წარმოებისა და ექსპორტის დინამიკის, ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრების, კერძოდ, ევროკავშირის, აზიისა და დსთ-ს ქვეყნებში თხილის ბაზრის საექსპორტო დინამიკის ანალიზის, მეთხილეობის დარგში არსებული მდგომარეობის შესწავლის საფუძველზე მოცემულია ბაზრის შეფასება, დარგში არსებული მდგომარეობის ანალიზი.

ქართული თხილის საერთაშორისო ბაზარზე ადგილის დასამკვიდრებლად გამოვლენილია მისი პოტენციური უპირატესობები, სუსტი მხარეები და არსებული პრობლემები. ჩატარებული კვლევა დაეხმარება აღნიშნული საკითხებით დაინტერესებულ პირებს, რათა სრულყოფილად გააანალიზონ საქართველოს სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი პერსპექტიული დარგის – მეთხილეობის განვითარების შესაძლებლობები. თხილის ბაზრის განვითარების ანალიზის საფუძველზე გაკეთებულია შესაბამისი დასკვნები.

საკვანძო სიტყვები: თხილის ბაზარი; ექსპორტი; იმპორტი; ღირებულებათა ჯაჭვი; წარმოების პოტენციალი.

საქართველოში თხილის კულტურის წარმოების პოტენციალი და მისი ადგილი მსოფლიო ბაზარზე

საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეროვნული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება, რაც საექსპორტო პოტენციალის ზრდის შესაძლებლობას იძლევა, მათ შორისაა ქართული თხილი. თხილს კაკლოვან კულტურებს შორის ერთ-ერთი საპატიო ადგილი უკავია. მეთხილეობა საქართველოს სოფლის მეურნეობის უძველესი ტრადიციების მქონე სტრატეგიული მნიშვნელობის დარგია. ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით, თხილის კულტურის

გავრცელება ჩვენს ნელთალრიცხვამდე, VI საუკუნეში დაიწყო შავი ზღვის სანაპიროებსა და კავკასიაში [1]. საქართველოს მოსახლეობისთვის თხილს განსაკუთრებული ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა და დღესაც, შემოსავლის მნიშვნელოვანი წყაროა. 1917 წლამდე ქვეყნიდან ევროპის ბაზრებზე დიდი რაოდენობით თხილი გადიოდა. ევროპული ბაზრების ჩაკეტვამ ექსპორტი, შესაბამისად, თხილის ფართობი და წარმოება შეამცირა. XX საუკუნის 90-იან წლებში მდგომარეობა შეიცვალა და ქართულ თხილზე გაჩნდა მზარდი მოთხოვნა, რომლის შესაბამისად საქართველოში დაიწყო თხილის პლანტაციების გაშენება.

სასარგებლო საკვების, სამკურნალო თვისებებისა და ეკონომიკური მნიშვნელობის გამო, თხილის კულტურა განსაკუთრებულია და მსოფლიო ბაზრის ყურადღების ცენტრშია. ეს, უპირველეს ყოვლისა, განაპირობებულია მისი ნაყოფის მრავალმხრივი გამოყენებით. თხილის ნაყოფი და გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქტები ფართოდაა ცნობილი. მის კვებით ღირებულებას განსაზღვრავს ნედლეულში ცხიმის, ცილის და ბიოაქტიურ ნივთიერებათა შემცველობა. ჩამოთვლილი ღირებულებები იცვლება მცენარის ჯიშის, ადგილმდებარეობის, ნიადაგურ-კლიმატური პირობების გავლენით. თხილი მეტად მნიშვნელოვანი გახდა სამრეწველო და სხვა ტიპის წარმოებისთვის [2]. თხილის გადამუშავება საინტერესოა უნარჩუნო წარმოების თვალსაზრისით. პრაქტიკულად, ყველა ტიპის პროდუქტი, რომელიც თხილის გადამუშავების შედეგად მიიღება, რეალიზაციას ექვემდებარება.

საქართველოში არსებული მიკროზონების, ნიადაგურ-კლიმატური პირობების მრავალფეროვნება თხილის გავრცელების არეალს ზრდის. თხილის სამრეწველო პლანტაციები ფართოდაა წარმოდგენილი შავი ზღვის სანაპიროს ტენიან, თბილ რაიონებში (გურია, სამეგრელო, აჭარა) [3, გვ.20]. მაღალი ყინვაგამძლეობის გამო, თხილი აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონშიცაა გავრცელებული, თუმცა, თხილის მოსავლიანობითა და ნაყოფის ხარისხი უფრო პერსპექტიულია დასავლეთ საქართველოს ტენიანი სუბტროპიკები. საქართველოს ენდემური ჯიშების სიმრავლით საერთაშორისო ბაზრებზე მაღალხარისხიანი პროდუქტის მიწოდება შეუძლია. აქ ბუნებრივად ხარობს თხილის 6 სახეობა: ჩვეულებრივი თხილი, დათვის თხილი, პონტოს თხილი, იმერული თხილი, კოლხური თხილი, კახური თხილი. სულ საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებულია დაახლოებით 27 ჯიშის თხილი. დახასიათებული ჯიშების ნაყოფმწარმოებლობა იწყება დარგვიდან 3 წლის შემდეგ. ადგილობრივ ჯიშებს შორის უმთავრესია: [4]. „ანაკლიური“, „ბერძნულა“, „გულშიშველა“, „შველისყურა“, „დედოფლის თითი“, „ცხენის ძუძუ“, „ხაჭაპურა“, „ნემსა“. ადგილობრივი ჯიშები გამოირჩევა მაღალი მოსავლით (ერთ ძირზე საშუალო მოსავალი 5-10 კგ-ია, ასევე, ის განსაკუთრებულია რაოდენობრივი და ხარისხობრივი პარამეტრებით: პროდუქტიულობა – საშუალოდ 48-55%, ცხიმის შემცველობა 67-70%-ია). აღნიშნული მაჩვენებლებით მსოფლიო ბაზარზე გამორჩეულია ქართული თხილი, რითაც ინარჩუნებს კონკურენტულ უპირატესობას, რასაც განაპირობებს მაღალი ხარისხის ნედლეულის მიღების შესაძლებლობა, ხელსაყრელი ფასისა და ხარისხის თანაფარდობა. თხილი

არ მოითხოვს დიდ კაპიტალდაბანდებას, გამძლეა ბუნებრივი პირობების მიმართ, ნაკლებ შრომატევადია [3, გვ.21], აქვს ხანგრძლივი ექსპლოატაციის პერიოდი 25-40 წელი და უხვ მოსავალს 20-25 წლის განმავლობაში იძლევა. თხილის მოსავლიანობა საშუალოდ არის 2-4 ტონა/ჰა-ზე. სხვა ქვეყნებთან შედარებით, ქართული თხილის კალორიულობა 7-8%-ით მაღალია [5, გვ.4]. თხილის ნაყოფი ხანგრძლივი შენახვისუნარიანობითა და ტრანსპორტაბელურობით ხასიათდება. კულტურა მნიშვნელოვანია ეკონომიკური თვალსაზრისით, კერძოდ, ის მოსახლეობისთვის შემოსავლის მნიშვნელოვანი წყაროა.

2017 წლის მონაცემებით, თხილის კულტურის ფართობი საქართველოში არის 12.054 ათასი ჰა, მათ შორის, რეგიონებზე მოდის: სამეგრელო-ზემო სვანეთი – 62.1%, გურია – 20.3%, იმერეთი – 9.3%. სულ სამივე რეგიონზე მოდის – 91.7%. თხილის ფართობი შედარებით მცირეა ქვემო ქართლის, შიდა ქართლის, მცხეთა-მთიანეთისა და რაჭა-ლეჩხუმის რეგიონებში (იხ. ცხრილი 1) [6].

თხილის ფართობი საქართველოში (2017 წელი)

ცხრილი 1

რეგიონები	ათასი ჰა	%
სულ საქართველო	12.054	100
სამეგრელო-ზემო სვანეთი	7.485	62.1
გურია	2.446	20.3
იმერეთი	1.121	9.3
აჭარა	0.542	4.5
კახეთი	0.361	3
სხვა	0.099	0.8

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) 2017 წლის მონაცემებით, საქართველო თხილნარის ფართობის მიხედვით, მსოფლიოს ძირითად მწარმოებელ ქვეყნებს შორის თურქეთის, იტალიის, აზერბაიჯანის, ირანის, აშშ-ს, ჩილეს, ჩინეთისა და ესპანეთის შემდეგ მეცხრე ადგილზეა. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო მსოფლიოში თხილის ფართობით, 2005 წლის მონაცემებით მეშვიდე, ხოლო 2010 წლის მონაცემებით – მეხუთე ადგილზე იყო (იხ. ცხრილი 2) [7].

2017 წელს 2010 წელთან მიმართებით, თხილის ფართობი საქართველოში 23.41%-ითაა შემცირებული (15.739 ათასი-დან 12.054 ათას ჰა-მდე). 2010–2017 წლებში მსოფლიოში თხილის ფართობების გაზრდით დაწინაურდა ჩინეთი, ჩილე, აშშ და ესპანეთი. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ქვეყნების ნაწილში, მაგალითად, ჩილეში მკვეთრად არის თხილის ფართობი გაზრდილი (2005-2017 წლებში – 83.1%-ით). ამასთან, შეინიშნება საპირისპირო ტენდენციებიც, მაგალითად, 2017 წელს, 2015 წელთან შედარებით, ესპანეთში ფართობები 37%-ით, ხოლო საქართველოში 36.8%-ით არის შემცირებული (იხ. ცხრილი 2) [7].

თხილის მთლიანი ფართობი მსოფლიოსა და ცალკეულ ქვეყნებში


ცხრილი 2

ქვეყნები	2005 წელი		2010 წელი		2017 წელი	
	ჰა	%	ჰა	%	ჰა	%
სულ თხილის ფართობი მსოფლიოში (ჰექტარი)	544.898	100	618.023	100	671.421	100
თურქეთი	389.696	71.51	432.439	69.97	439.097	65.38
იტალია	55.904	10.25	67.743	10.96	79.951	11.90
აზერბაიჯანი	18.228	3.34	22.691	3.67	35.782	5.32
ირანი	15.108	2.77	19.133	3.09	17.589	2.61
აშშ	11.453	2.10	11.453	1.85	14.973	2.23
ჩილე	2.302	0.42	4.199	0.67	13.693	2.03
ჩინეთი	8.108	1.48	10.645	1.72	13.225	1.97
ესპანეთი	20.343	3.71	13.803	2.23	12.806	1.90
საქართველო	9000	1.65	15.739	2.54	12.054	1.80
სხვა დანარჩენი	14.756	2.77	20.178	3.30	32.245	4.86

საქართველოში, 2005 წლიდან 2015 წლამდე, თხილის ფართობი სწრაფი ტემპებით იზრდებოდა, მაგრამ, ბოლო სამი წლის განმავლობაში გარკვეული ობიექტური ფაქტორების გავლენით, მისი ფართობი (იხ. დიაგრამა 1) და შესაბამისად, თხილის წარმოებაც შემცირდა (იხ. დიაგრამა 2) [7].


თხილის წარმოება საქართველოში, 2006-2017 წლებში (ათასი ტონა)

დიაგრამა 2



თხილის წარმოების მხრივ, საქართველოში წამყვანი რეგიონებია სამეგრელო და გურია. რეგიონების ეკონომიკურ განვითარებაში აღნიშნულ კულტურას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ქვეყანაში თხილის წარმოების შემცირება, ბუნებრივია, აისახა რეგიონებზეც. კერძოდ, 2017 წელს სამეგრელოს რეგიონზე ქვეყანაში წარმოებული თხილის 34.1% მოდიოდა (2016 წელს იყო 52%), ხოლო მეორე ადგილზეა

გურია – 29.9% (2016 წელს იყო 24%). გურიის რეგიონისგან განსხვავებით, სამეგრელოს რეგიონში თხილის მოსავლის მკვეთრი კლება შეინიშნება (იხ. ცხრილი 3) [8].



თხილის წარმოება საქართველოში რეგიონების მიხედვით (2016-2017 წწ. ათასი ტონა)
ცხრილი 3

რეგიონები	2014	2015	2016	2017
საქართველო	33.8	35.3	29.5	21.4
აჭარა	0	0	1.5	2.4
გურია	6.2	6.2	7.2	6.4
იმერეთი	3.2	4.2	3.4	2.8
კახეთი	0	0	1.2	2.0
მცხეთა-მთიანეთი	0	0	0.1	0.1
სამეგრელო-ზემო სვანეთი	20.7	18.8	15.3	7.3
ქვემო ქართლი	0	0	0.5	0.3
შიდა ქართლი	0	0	0.1	0.1
დანარჩენი რეგიონები	3.6	6.1	0.0	0.1

მთლიანობაში, 2017 წელს ქვეყნის მასშტაბით წარმოებული თხილის 64% სამეგრელო-ზემო სვანეთისა (34.1%) და გურიის რეგიონებზე (29.9%) მოდოდა.

ყოველივე აღნიშნულთან ერთად, ინტერესს იწვევს ქართული თხილის წარმოების შესაძლებლობების შეფასება მსოფლიო ბაზრისთვის. მსოფლიო ბაზარზე ქართული თხილის მიწოდების მონაცემები ცვალებადია: 2014 წელს თხილის მსოფლიო ბაზრის 63% თურქეთის თხილს ეჭირა (FAO), მეორე და მესამე ადგილს იტალია (11%) და საქართველო (5%) იკავებდნენ. 2017-2018 წლის საშუალო მონაცემების მიხედვით, მსოფლიოში წარმოებული იქნა 490 ათასი ტონა თხილი (გარჩეული), მათ შორის თურქეთზე მოდიოდა 73% (360 ათასი ტონა), მეორე და მესამე ადგილს იტალია (9%) და აზერბაიჯანი (5%) იკავებდა, მეოთხე ადგილზე იყო საქართველო (3%) (იხ. ცხრილი 4) [9, გვ.26].

**თხილის მსოფლიო და ცალკეულ ქვეყნებში წარმოების საშუალო მაჩვენებელი
(2017-2018 წწ. და 2014-2018 წწ.)**

ცხრილი 4

ქვეყნები	2017-2014 წწ. ათასი ტონა	%	2014-2018 წწ. საშუალო მაჩვენებელი	%
სულ მსოფლიოში	490.028	100	438.373	100
თურქეთი	360.000	73	310.000	71
იტალია	42.300	9	48.010	11
აზერბაიჯანი	25.000	5	18.410	4
საქართველო	15.313	3	18.103	4
ჩილე	11.000	2	7.813	2
აშშ	10.800	2	13.778	3
ესპანეთი	6.300	1	8.628	2
სხვა	19.315	5	13.631	3

თხილის კულტურის ფართობისა და ნაყოფის წარმოების შემცირება, განაპირობა გარკვეულმა ობიექტურმა ფაქტორებმა, რომელთა შორის მთავარია აზიური ფაროსანა, თუმცა, მდგომარეობა კიდევ უფრო გაართულა სოკოვანმა და ბაქტერიულმა დაავადებებმა. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო ბოლო პერიოდში სერიოზულ აგროტექნიკურ თუ სხვა ადეკვატურ ღონისძიებებს ახორციელებს, რათა სამომავლოდ შემცირდეს დანაკარგი, ამალდეს თხილის მოსავალი და ხარისხი.

თხილის ექსპორტი და იმპორტი

მიუხედავად არსებული პრობლემებისა, თხილის წარმოებით საქართველო წარმატებით იმკვიდრებს ადგილს საერთაშორისო ბაზრებზე და ის თხილის უმსხვილეს მწარმოებელ ქვეყანათა ხუთეულშია. თხილი ძირითადად ევროკავშირისა და დსთ-ს ქვეყნებში გადის. საქართველო, თურქეთთან ერთად, თხილის მსხვილ ექსპორტიორად ითვლება. აღსანიშნავია, რომ საექსპორტო საქართველოში წარმოებული თხილის (გარჩეული გული) 86.2%-ზე მეტი. მოსახლეობის ერთ სულზე თხილის ფაქტობრივი მოხმარების მაჩვენებლით (კგ. წელიწადში) გამოირჩევა შემდეგი ქვეყნები: იტალია (1.31), აზერბაიჯანი (1.02), შვეიცარია (1.10); თურქეთი (0.75). მსოფლიოში 2016 წელს ფაქტობრივი მოხმარების საშუალო მაჩვენებელი იყო 0.06 კგ./წელიწადში [9, გვ.29].

2016 წლის მონაცემებით (FAO), თხილის (გარჩეული) მსოფლიო ექსპორტი წინა წლების დონეზე დარჩა. 2016 წელს ექსპორტის 59% -ს თურქეთზე მოდიოდა, ხოლო მისი საშუალო მაჩვენებელი ბოლო 5 წელში 67%-ია; მეორე ადგილზეა საქართველო, შესაბამისად – 12% და 9% (იხ. ცხრილი 5) [9, გვ.27].


**თხილის მსოფლიო ექსპორტი (2016 წ. და 2014-2018 წწ.
საშუალო მაჩვენებელი-ათასი ტონა)**

ცხრილი 5

ქვეყნები	2016 წელი	%	2014-2018 წწ. საშუალო მაჩვენებელი	%
სულ ექსპორტი მსოფლიოში	209.251	100	381.853	100
თურქეთი	123.771	59	310.000	67
იტალია	24.281	12	18.119	8
აზერბაიჯანი	10.434	5	10.971	5
საქართველო	24.836	12	20.677	9
გერმანია	5.878	3	5.029	2
ნიდერლანდები	3.256	2	3.221	1
სხვა	16.795	7	13.836	8

საქართველოში თხილი საექსპორტო საქონლის მთლიან წილში განსხვავებული დინამიკით ხასიათდება. 2016 წლის მონაცემებით, საქართველოდან საქონლის მთლიან ექსპორტში თხილი 8,5%-ს იკავებდა და მან გადააჭარბა ღვინის ექსპორტს (5.8%). მომდევნო წლებში, თხილის საექსპორტო პოტენციალი მეკეთრად დაეცა. კერძოდ, 2017 წელს საექსპორტო საქონლის ათეულში 8,5 %- დან 3 %-მდე შემცირებული (იხ. დიაგრამა3)[8].

უმსხვილესი საექსპორტო საქონლის ათეული 2017 წელს (%)



წინასწარი მონაცემები.

დიაგრამა 3

თხილის მთლიანი მოსავალი 2017 წელს, 2016 წელთან შედარებით, 40%-ით არის შემცირებული, რაც თავისთავად, გავლენას ახდენს ექსპორტის მოცულობაზე. 2017 წლის იანვარ-სექტემბერში საქართველოდან 50 მლნ დოლარის თხილი იქნა ექსპორტირებული, მაშინ, როდესაც ის 2016 წლის, ანალოგიურ პერიოდში, 117 მლნ დოლა-

რი იყო. გამომდინარე აქედან, ფერმერებს, რომლებმაც საკმაოდ დიდი ინვესტიცია ჩადეს თხილის პლანტაციებში, შემოსავლების თვალსაზრისით სერიოზული პრობლემები შეექმნათ.

საქართველოდან თხილის ექსპორტი ძირითადად ხორციელდება შემდეგ ქვეყნებში: გერმანია, იტალია, ჩეხეთი, ლიბანი, კანადა, რუსეთი, საბერძნეთი, ესპანეთი, ერაყი, ავსტრია, ხორვატია, ლატვია, სლოვაკეთი. 2017 წელს, 2016 წელთან შედარებით, გაუარესებულია, როგორც თხილის ექსპორტის მაჩვენებელი, ასევე ექსპორტიორი ქვეყნების რაოდენობა, კერძოდ, ექსპორტი განხორციელდა, მხოლოდ, შემდეგ ქვეყნებში: იტალია, გერმანია, ერაყი, საბერძნეთი, ესპანეთი, რუსეთი, საფრანგეთი [6].

მსოფლიოში თხილის მსხვილი იმპორტიორი ქვეყნებია გერმანია და იტალია, რომლებიც არიან თხილის ყველაზე დიდი მომხმარებლები და გადამამუშავებლები. მათზე მსოფლიო თხილის იმპორტის 50%-ზე მეტი მოდის. თურქეთის, საქართველოსა და აზერბაიჯანის თხილის გადაზიდვები 50%-ზე მეტი გერმანიისა და იტალიისთვის იყო განკუთვნილი, ხოლო ჩილეში ექსპორტის 92% იტალიამ დაიკავა (იხ. ცხრილი 6) [9, გვ.28].

თხილის იმპორტის დინამიკა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში (ათასი ტონა)

ცხრილი 6

ქვეყნები	2006	2010	2013	2014	2015	2016	ზრდა 2006- 2016 წწ.
გერმანია	42.127	67.882	66.624	57.151	64.204	61.450	19.323
იტალია	76.623	40.211	59.966	59.646	57.441	44.030	-32.593
საფრანგეთი	23.304	27.894	26.997	20.477	22.733	21.068	-2.236
კანადა	943	7.910	10.123	10.111	12.747	11.376	10.433
შვეიცარია	12.083	9.482	10.037	9.761	8.890	9.448	-2.635
რუსეთი	9.967	11.016	9.187	11.270	7.018	5.541	-4.426
ბელგია	14.918	7.536	7.303	6.736	5.685	4.986	-9.932
ნიდერლანდები	9.478	3.416	3.762	3.742	5.047	3.736	-5.742
პოლონეთი	1.582	6.987	8.842	8.077	11.686	3.704	2.122
ესპანეთი	597	5.184	5.759	4.301	3.193	2.999	2.122
ავსტრალია	1.126	2.333	2.923	2.629	2.593	2.839	713
აშშ	5.228	2.912	4.384	2.634	1.338	2.806	-2.422
ჩეხეთი	1.511	1.754	2.494	1.872	1.753	2.671	1.160
ბრაზილია	1.926	2.321	2.385	3.040	3.044	2.650	724
UK (გაერთ. სამეფო)	415	2.023	2.150	2.112	2.227	2.392	1.977
ავსტრია	1.093	2.599	2.889	3.467	2.635	2.249	1.156
ეგვიპტე	2.315	3.896	2.773	2.059	1.882	1.832	-483
საბერძნეთი	3.040	2.242	2.049	1.555	1.179	1.315	-1.725
ისრაელი	1.299	1.320	1.182	1.268	996	1.116	-183
შვედეთი	917	1.109	1.308	1.250	1.258	975	58
სხვა	76.649	22.709	10.629	6.265	21.523	20.063	-56.586
სულ მსოფლიოში	288.141	232.736	237.764	219.422	239.074	209.244	-78.897

2016 წლის მონაცემებით მსოფლიოში თხილის იმპორტის მთლიანი მოცულობა 209.244 ათასი ტონა იყო. აქედან, 4 ქვეყანაზე მოდიოდა იმპორტის 65.86%, კერძოდ, გერმანია – 29.36% (61.459 ათასი ტონა); იტალია – 21.04% (44.130 ათასი ტონა); საფრანგეთი – 10.06% (21.068 ათასი ტონა); კანადა – 5.4% (11.376 ათასი ტონა). მსოფლიოში თხილის იმპორტის ბოლო 10 წლის საშუალო მაჩვენებელი ქვეყნების მიხედვით, განსხვავებულია. კერძოდ, მთლიანობაში თხილის მსოფლიო იმპორტი ბოლო 10 წელში შემცირებულია 78.897 ათასი ტონით. აღნიშნული მაჩვენებელი ქვეყნების მიხედვით შემდეგია: იმპორტი შემცირდა-იტალიაში, საფრანგეთში, შვეიცარიაში, რუსეთში, ბელგიაში, ნიდერლანდებში, აშშ-ში, ეგვიპტეში, ისრაელში; იმპორტი გაიზარდა-კანადაში, პოლონეთში, ესპანეთში, ავსტრალიაში, საბერძნეთში, ბრაზილიაში, ავსტრიაში, შვედეთში.

თხილის ბაზარზე იტალია და ესპანეთი არის ნეტო იმპორტიორი ქვეყნები, რაც განპირობებულია ამ ქვეყანებში თხილის გადაამუშავებელი დარგების განვითარებით. აღნიშნული ფაქტორის გათვალისწინებით ეს ბაზრები მიმზიდველია თხილის ნებისმიერი მწარმოებლისა და ნედლეულის სახით ექსპორტიორი ქვეყნებისათვის, მათ შორის, საქართველოსთვისაც. აღნიშნული ქვეყნებისთვის 82%-იანი წილით მთავარი საიმპორტო პარტნიორია თურქეთი, ხოლო 50%-იანი წილით მთავარი საექსპორტო პარტნიორია გერმანია.

თხილის მოხმარების თვალსაზრისით მსოფლიოში ლიდერია ევროკავშირი, რაც ძირითადად გერმანიის (21,5%) და იტალიისა (20,2%) მოხმარების ტენდენციებზეა დამოკიდებული. აგრეთვე, ამ თვალსაზრისით, აღსანიშნავია ბელგია, შვეიცარია, რუსეთი, პოლონეთი, საფრანგეთი, აშშ, ესპანეთი, ავსტრია, ჰონგ-კონგი. მათი უმეტესობა ნედლი თხილის იმპორტს გადამუშავებისა და სხვადასხვა პროდუქტის დასამზადებლად იყენებს. მიუხედავად იმისა, რომ თურქეთი არ ფიგურირებს ლიდერ იმპორტიორ ქვეყნებში, მისი მოხმარება მაინც მაღალია ევროკავშირის ქვეყნების შემდეგ, ამავე დროს, თურქეთი არის უდიდესი მწარმოებელიც.

ქართული თხილის ექსპორტი 2008 წლიდან დაიწყო ახლო აღმოსავლეთში, კერძოდ, ირანში, ერაყში, სირიაში, საუდის არაბეთში, ყაზახეთში, ტაჯიკეთში, ჩინეთსა და ჰონგკონგში. ეს უკანასკნელი ახდენს რეექსპორტს და შეაქვს თხილი ჩინეთის ბაზარზე. ქართული თხილით დაინტერესებული არიან ასევე აშშ-ის და იაპონიის კომპანიები. საინტერესოა, ასევე, უკრაინის ბაზარი, სადაც ბოლო 6 წლის განმავლობაში თხილის მოხმარება თითქმის 2,5-ჯერ არის გაზრდილი. ამდენად, თხილის ექსპორტის მიმართულებით საქართველოს ბაზრის გაფართოების დიდი პოტენციალი გააჩნია.

საქართველოს თხილის ბაზარზე მიმდინარე ტენდენციები

საქართველოში თხილის წარმოება მთლიანად ორიენტირებულია უცხოურ ბაზრებსა და იქ მიმდინარე ტენდენციებზე. შიდა მოხმარებისათვის საკუთარი წარმოების მხოლოდ 10%-მდე გამოიყენება და საექსპორტოა წარმოებული თხილის დაა-

ხლოებით 90%. საქართველოში თხილის ბაზრის სტრუქტურა სამი მიმართულებით ვითარდება [10, გვ.126], კერძოდ, წამყვანი პოზიციები უკავიათ სადისტრიბუციო კომპანიებს, მომდევნო ადგილზეა თხილის გადამამუშავებელ ქარხნები და ფერმერები. ბოლო 10 წლის განმავლობაში შეიცვალა ფერმის მასშტაბები, გაიზარდა შედარებით მსხვილი ფერმების რაოდენობა, მაგრამ წვრილი ფერმერები თხილის დისტრიბუტორების ჯერ კიდევ მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენენ. მაგალითად, ჩვენ მიერ გურიის რეგიონში ჩატარებული გამოკითხული ფერმერების (200 ფერმერი) 50%-მა ბოლო 10 წლის განმავლობაში გაზარდა წარმოების მასშტაბები (ფართობები) და მათ მფლობელობაში არის 5-დან 10 ჰა-მდე თხილის პლანტაციები. რეგიონებში მსგავსი პროცესების მიმდინარეობის ფონზე შეიძლება დავასკვნათ, რომ თუ 2008 წელს თხილწარმის მთლიანი ფართობის 95%-ს ფლობდნენ წვრილი ფერმერები, ხოლო მსხვილმასშტაბიან ფერმერებს 7%-იანი წილი ეკავათ [10, გვ.126-127], დღეისათვის, კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, მსხვილმასშტაბიანი ფერმერების ხვედრითი წონა 10%-ს აჭარბებს.

მნიშვნელოვანია თხილის ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზი, რომელშიც გამოკვეთილია ქართული თხილის მომხმარებელთა დამოკიდებულება. აღნიშნულ სქემაში დაახლოებით 70%-მდე ევროპულ, 30%-მდე – აზიელ და 1%-მდე – სხვა მომხმარებლებზე მოდის. აღნიშნული მომხმარებლების მიერ თხილი შესაბამისი რეგიონების გადამამუშავებლებს, შემდეგ საცალო მოვაჭრეებს და ბოლოს, მომხმარებლებებს მიეწოდება. მაგალითად, ევროპელი და თურქეთის დისტრიბუტორები (70%-იანი წილით) ქართული ექსპორტის დაახლოებით ევროპულ გადამამუშავებლებს, შემდეგ, საცალო მოვაჭრეებს და ბოლოს, მომხმარებელს აწვდიან. დარჩენილი დისტრიბუტორების მიერ შესყიდული თხილი (1%-ზე ნაკლები წილით) სხვადასხვა ქვეყნის გადამამუშავებელ საწარმოებსა და მომხმარებლებს მიეწოდება.

საოჯახო და წვრილი ფერმერული მეურნეობების დაქსაქსულობის გამო, თხილის «სეზონზე» უამრავი მცირე წვრილი სადისტრიბუციო ფირმა (გადამყიდველები) წარმოიქმნება. შესაძლებელია გამოვყოთ რეგიონული შემგროვებლები; ადგილობრივი დისტრიბუტორები. თხილის ბაზარზე წარმოდგენილია თხილის გადამამუშავებელი და ექსპორტიორი ფერმები. ამ ფირმათა დაყოფა პირობითად სამ ჯგუფადაა შესაძლებელი, ესენია: ა) მხოლოდ ექსპორტიორი ფერმები, ბ) მცირე გადამამუშავებელი საწარმოები და გ) მსხვილი გადამამუშავებელი და საექსპორტო კომპანიები [11, გვ.22].

თხილის მსოფლიო ბაზარზე თურქეთი, როგორც თხილის მთავარი მწარმოებელი, თავისუფლად აკონტროლებს თხილის ფასს და თხილის ბაზარსაც. ბუნებრივია, ქართული თხილის ფასზე თურქეთი ახდენს გავლენას. თუმცა, არსებობს ფასებს შორის განსხვავება, ქართული თხილი უფრო იაფია, ვიდრე თურქული, რაც აიხსნება ქართულ და თურქულ თხილს შორის გამოსავლიანობაში არსებული განსხვავებით. კერძოდ, 1კგ. გაუტეხავი ქართული თხილიდან გამოდის 0.4 კგ. გული, ხოლო თურ-

ქული თხილის გამოსავლიანობა 0.5 კგ.-ია. პრობლემაა ქართული თხილის ხარისხის მენეჯმენტის სისტემა, არასტაბილური მინოდება და ნაკლები ცნობადობა [12].

როგორც გამოკვლევამ გვიჩვენა, თხილის გადამამუშავებელ კომპანიათა უმეტესობა არ ფლობს საკუთარ პლანტაციებს. ისინი ძირითადად სამეგრელოს რეგიონში არიან კონცენტრირებულნი, საკუთარი სიმძლავრეების 80%-ს იყენებენ და უზრუნველყოფენ სამუშაო ადგილების მნიშვნელოვან რაოდენობას.

ქართული თხილის წარმოება საგრძობლად განვითარდა ბოლო 10-15 წლის განმავლობაში, თუმცა, არსებული რესურსები სრულად ათვისებული არ არის. დარგის განვითარებას გააჩნია გარკვეული პრობლემები, მავნებლებისა და მცენარეთა დაავადებებისაგან დაუცველობა, რაც საფრთხეს უქმნის წარმოების მოცულობას, ხარისხს და, შედეგად, საქართველოს სურსათის ექსპორტის სანდოობას. ეს მაშინ, როცა საქართველოს რეგიონებში შესაძლებელია წარმოებული იყოს მაღალხარისხიანი და კონკურენტუნარიანი ნედლეულის წარმოება. სხვა კულტურებთან შედარებით 1 ჰა-ზე თხილის გაშენებას და მოვლას ნაკლები დანახარჯები ჭირდება, რაც დღეისათვის ძალზე მნიშვნელოვანია ქართველი ფერმერისათვის.

მიუხედავად გარკვეული დადებითი ტენდენციებისა, ბოლო პერიოდში თხილის წარმოების ხარისხი გაუარესდა. ასევე ბაზარზე შეინიშნება თხილის ფასის მკვეთრი მერყეობა (ვარდნა). ადგილობრივი მწარმეებისა და ფერმერებთან ინტეგრაციების დროს გამოიკვეთა აღნიშნული პრობლემის ორი მიზეზი: თხილის ბიზნესის მართვის სადავეების გარკვეული ჯგუფის მიერ მონოპოლიზება და „ევროპაში ქართული თხილის „სახელის გატეხვა“. ასევე, მნიშვნელოვანია დახვეწილი დომინანტი ჯიშების მოვლა-მოყვანის პირველადი გადაამუშავებისა (შრობა) და შენახვის ტექნოლოგიების სიმცირე და ჯიშური სტანდარტული ნერგის ხელმისაწვდომობა. ქვეყანას, ამ სფეროში, შესაძლოა ჰქონოდა კონკურენტული უპირატესობა, მაგრამ სანერგე სექტორის არასაიმედოობის გამო, ის სრულად არაა ათვისებული [13]. საქართველოს შედარებითი უპირატესობა ყველა პროდუქტისთვის არ არის თანაბარი. ქვეყნის მიწის ფართობი შეზღუდულია, სასოფლო-სამეურნეო მიწა დაყოფილია მიწის შედარებით მცირე ნაკვეთებად. საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების 75% 1 ჰა-ზე ნაკლები ზომისაა [14, გვ.4]. ყოველივე ეს არ იძლევა საშუალებას გაიზარდოს მეურნეობათა მასშტაბები და ბაზარზე კონკურენცია გაენიოს წამყვან ქვეყნებს, რომლებსაც მსხვილი, მსგავსი პირობების მქონე მიწის ნაკვეთები აქვთ.

დასკვნები და წინადადებები

საქართველოს აგროსექტორში თხილის წარმოება ერთ-ერთი პერსპექტიული დარგია, შესაბამისად, საქართველოსათვის აქტუალურია ქართული თხილის განვითარების ტენდენციების კვლევა, განვითარების პრიორიტეტების დასახვა და დარგში საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრება. ჩატარებული ანალიზის საფუძველზე ჩამოვყალიბეთ შესაბამისი დასკვნები და რეკომენდაციები:

- საქართველოში აგრარული პროდუქტების წარმოებაში, განსაკუთრებული უპირატესობა იკვეთება თხილის წარმოებაში, იგი კონკურენტუნარიანია, მისი განვითარებისათვის ქვეყანაში ხელსაყრელი ბუნებრივი და ეკონომიკური შესაძლებლობებია;

- თხილის წარმოების დარგში, საქართველო უკვე ფლობს გარკვეულ ნიშას საერთაშორისო ბაზარზე, შესაბამისად, ქვეყნის პოლიტიკა უნდა ითვალისწინებდეს და ხელს უწყობდეს ამ უპირატესობის შენარჩუნებასა და განმტკიცებას, ასევე, სხვა პოტენციური უპირატესობის მიღწევას;

- თხილის მსოფლიო ბაზარი ზრდადია. ამ ბაზარზე, წარმოების გაფართოებით საქართველოს საექსპორტო პოტენციალის ზრდის პერსპექტივები მაღალია; საექსპორტო მოცულობის გაზრდით მას აქვს ევროკავშირის, დსთ-სა და აზიის ბაზრებზე დამკვიდრების ფართო შესაძლებლობა;

- საექსპორტო პოტენციალის გაზრდისა და ახალი ბაზრების ათვისებისათვის საჭიროა წარმოების როგორც პროდუქტიულობის, ასევე წარმოების მასშტაბის გაფართოება. თხილის წარმოების ფართობების ზრდა შესაძლებელია დაუმუშავებელი ფართობების, განსაკუთრებით კი ჩაის ამორტიზებული მიწების ათვისებით. ამისთვის საჭიროა საკმაოდ დიდი ინვესტიციების განხორციელება და მთავრობის მხარდაჭერა;

- პრობლემაა ქართული თხილის ხარისხი და სტანდარტები, რაც დღემდე მკაცრად არ არის რეგულირებული;

- თხილის ფასის რყევის დაძლევისთვის საჭიროა თხილი ბაზარს სტანდარტიზებულად მიენოდოს, პროდუქტი უნდა გაკონტროლდეს როგორც უვნებლობის, ასევე, ხარისხობრივი პარამეტრებით;

- არსებულ ვითარებაში მნიშვნელოვანია დარგში გავრცელებული მავნებლებისა და დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლაში სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერა, კერძოდ, სამთავრობო და უცხოელი პარტნიორების მხრიდან ეფექტიანი პროგრამების განხორციელება, რათა მინიმუმადე იქნეს დაყვანილი მოსალოდნელი ზარალი;

- მნიშვნელოვანია თხილის საექსპორტო პოტენციალის გაზრდა. ამ ეტაპზე ძირითადია ექსპორტირებული პროდუქტების ხარისხის გაუმჯობესება, რათა შესაძლებელი გახდეს ახალ, მოთხოვნად ბაზრებზე შესვლა.

ლიტერატურა:

1. გოცირიძე ვ. თხილის კულტურა საქართველოში, თბილისი, 1973.
2. <http://www.new.ruraltourism.ge>
3. ხარაიშვილი ე., ჩავლეიშვილი მ. თხილის ბიზნესის განვითარების შესაძლებლობები და პერსპექტივები საქართველოში, აგროინფო, #1, თბილისი, 2008.
4. <http://gprnuts.ge/text.php?id=216>
5. Georgian Scientific-Research Institute of Horticulture, Viticulture and Wine making of the Georgian Academy of Agricultural Sciences, Recommendation, Tbilisi, 2003.

6. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო მონაცემთა ბაზის საფუძველზე. <http://www.moa.gov.ge/>
7. გაერო-ს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO). <http://www.fao.org/faostat/en/#data/QC>
8. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური www.geostat.ge
9. NUTS&DRIED FRUITS, INC INTERNATIONAL NUT AND DRIED FRUIT COUNCIL, Statistical Yearbook, 2017-2018, pp.26, 27, 28, 29 https://www.nutfruit.org/files/tech/1524481168_INC_Statistical_Yearbook_2017-2018.pdf
10. ხარაიშვილი ე. კონკურენციისა და კონკურენტუნარიანობის პრობლემები საქართველოს აგროსასურსათო სექტორში, თბილისი, 2011.
11. Chavleishvili M., Consumer Market for Georgian Hazelnut and the Strategy to Improve its Competitiveness, International Conference on Business, Economics and Management. International Science Index, Roma, 2015.
12. <http://eugeorgia.info/ka/article/34/qartuli-txili-evropashi-kargad-rom-gaiyidos-eqsporti-unda-gaizardos/>
13. UNDP_GE_ED_Hazelnut_Production_manual_201604.pdf
14. მაქსიმოვი ა. საქართველოს სოფლის მეურნეობის ექსპორტის პოტენციალის ათვისება, ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი, თბილისი, 2017 წელი. https://www.get-georgia.de/wp-content/uploads/2017/10/PP_01_2017_ge.pdf

Georgian Hazelnut Market: Assessment, Perspectives

Marina Chavleishvili

Associate Professor at

Iv. Javakishvili Tbilisi State University

marina.chavleishvili@tsu.ge

In the article, the hazelnut world and local market are complexly evaluated. Specifically, the possibilities of hazelnut production in Georgia and the potential of its export and import are discussed, and the Georgian hazelnut place in the international market, its development trends and future prospects are highlighted.

About 35 countries provide hazelnut in the world market, including Georgia, which has high potential for development of the industry and its own niche on the market. Georgian hazelnuts are distinguished with qualitative, quantitative characteristics, diversity of local varieties. The extension area of hazelnut is mainly in western Georgia (more than 70% of production). Based on the data of 2017, Georgia occupies the ninth position in the world (12.806 ha) according to the hazelnut harvested area and the fourth position – according to the volume of production (21.4 thousand tons). For the last two years, it is noticeable the

decreasing trend in the area harvested as well as in the level of productivity, which is mainly due to the spread of pests and diseases in the hazelnut field. In relation to the data of 2016 year, the production has been reduced by about 27% and in relation to the data of 2013 it has been reduced by 46%. According to the data of 2016, the share of hazelnut was 8.5% between the ten biggest export products in Georgia, what is more, it exceeded the wine export in that year. In 2017 the above-mentioned indicator was 3%.

Georgia is among the five largest producers of hazelnut and together with Turkey, is a large supplier of hazelnut. Georgia's share according to the average indicator of the last 5 years in global export is 12%. The export of hazelnut is mainly carried out in EU countries, mainly based on Germany's (21.5%) and Italian (20.2%) consumption tendencies. Also important markets are CIS and Asia. The freight transportation from Turkey, Georgia and Azerbaijan were more than 50% for Germany and Italy. Spain and Italy are also the largest net importers in the world market. Turkey is the main importer partner with the share of 82% and Germany is the main exporter partner with the share of 50%. The analysis revealed that Georgia should increase partnerships with these countries in order to increase the export of hazelnut.

Hazelnut is a competitive and highly exportable product. 90% of the hazelnut produced by Georgia is exported, and the local consumption of the country is 10%. Hence, the hazelnut production in Georgia is entirely focused on foreign markets and their current tendencies. Market research has shown certain trends, in particular, three market stakeholders are revealed: Distribution companies, hazelnut processing factories and farmers. As a result of the survey, it was revealed that the share of large scale farmers in 2008 increased by 3% in 2017 and exceeds the 10%, however, the share of small farmers is still high.

In the hazelnut value chain scheme, about <70% of European, <30% Asian and <1% comes on other hazelnut consumers. Due to the scattering of the householders and small farms, there have been appeared lots of small distribution companies (resellers) in the hazelnut market.

As the survey shows, most of the hazelnut processing companies do not own their own plantations. They are mainly concentrated in Samegrelo region, using 80% of their capacity and provide a significant number of jobs.

Despite some positive trends, the hazelnut quality (due to the widespread illness) has deteriorated; the steep fluctuation of the hazelnut price has been revealed. In the current situation, in order to prevent the expected losses and improve the quality of the product the state support for the sector and the implementation of the effective programs are very important.

Keywords: Hazelnut Market; Expor; Import; Value Chain; Production Potential.

JEL Codes: J43, L10, L11